პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 აგვისტო სამშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 188 (16009)

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

ᲬᲘᲜᲐᲨᲘ რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მოწვევის შესახებ.

პლენუმი, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში უნდა გაიმართოს, განიხილავს საკითხს: „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა საოცნებოს შესრულებისადმი კონტროლისა და შემოწმების შეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვისათვის და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტების, მთელი საზოგადოებრიობის აქტივობისა და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი“.

ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვა თვით ცხოვრებით, ჩვენს რეპუბლიკაში მიმდინარე ამბებითა და მოვლენებით არის ნაკარნახევი. როგორც პლენუმის მოწვევის შესახებ გამოქვეყნებულ ცნობაშია აღნიშნული, დღეს საქართველოს პარტიული, ორგანიზაციის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის წინაშე უაღრესად პასუხსაგები და ფართო მასშტაბის ამოცანები დგას, რომლებიც განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულმა დადგენილებამ — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. სწორედ ამ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის გადაუდებლად საჭიროა კიდევ უფრო გაიზარდოს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლის, პროფკავშირებისა და კომკავშირის, სახალხო კონტროლის ორგანოების როლი, ამაღლდეს მათი ბრძოლისუნარიანობა. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ აქტიურად დაირაზმება მთელი საზოგადოებრიობა, თუ ყოველი ღონისძიებით ავამაღლებთ თვითეული კომუნისტის, თვითეული ადამიანის პირად პასუხისმგებლობას მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ანიჭებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის, როგორც პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი ფორმის, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ზუსტ ორგანიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი ლოგიკური გაგრძელებაა იმ წინა პლენუმებისა, რომელთა ღონისძიებანიც მიმართულია სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების, სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების განხორციელებისაკენ.

როგორია დღემდე გაწეული მუშაობის ეფექტი? სად, რა უბანზე, რომელ რგოლში ჩანს შეფერხება და ხარვეზი? ყველას სწორად ასრულებენ თუ არა როგორც ზემდგომი ორგანოების, ისე საკუთარ გადაწყვეტილებებს? რა მთავარი პრობლემების გადაჭრა იქნება საჭირო, რომ ჩვენი დიდი შრომისა და აღმშენებლობის ყველა უბანზე უფრო ფართოდ გაიშალოს შეშმარიტი შემოქმედებითი შრომა, გამოჩნდეს ადამიანთა მაღალი აქტივობა და ენთუზიაზმი? ამ და სხვა მრავალ საჭირო კითხვას ზუსტ და ამომწურავ პასუხს გასცემს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათოთხმეტე პლენუმი. იგი შეაჯამებს დღემდე გაკეთებულსაც და პირუთვნელად გვეტყვის გაუთვალისწინებელზეც.

გაკეთებული, რა თქმა უნდა, ცოტა როდია. განსაკუთრებით ის არის საგულისხმო და სათქმელი, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები, ამა თუ იმ უბანზე ძვრა თუ შემობრუნება მეტად დამაიმედებელია.

ᲯᲣᲓᲐᲒᲘ ხუთწლეულის ამ განმსაზღვრელი **წლის** პირველი ნახევრის შედეგები ავიღოთ. გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის საერთო მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ექვსი თვის გეგმა. დავალების გადამეტებით რეალიზებულია 78,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შარშანდელზე უკეთ მოემზადნენ და წარმატებით ჩაატარეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, პირუტყვის გამოზამთრება, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების, ვენახების, ბაღებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების დამუშავება. დიდი გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნახევარი წლის დავალებანი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჯაფინაურდნენ ჩვენი მეჩაიეები, მეაბრეშუმეები, მებოსტნეები.

მაგრამ იგივე ნახევარი წლის შედეგები იმაზეც მიუთითებენ, რომ ყველგან გონივრულად რიდი იყენებენ არსებულ რეზერვებსა და საშუალებებს, ყველგან დიდი პასუხისმგებლობით როდი უდგებიან საქმეს. საშუალოსრულ, სამრეწველო საწარმოთა 8,4 პროცენტმა ვერ შეასრულა დავალებანი და ვეგმასთან შედარებით 15,5 მილიონი მანეთით ნაკლები ღირებულების პროდუქცია გამოუშვა. ვერ შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ექვსი თვის გეგმა. ჯერ კიდევ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ზარალით მუშაობს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ბრძოლისა და მოქმედების უკანასკნელი ორი წლის პირველი ეტაპი აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სხვა რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებით, მეორე ეტაპი — რაიონული და საქალაქო რგოლის ხელმძღვანელობის გაძლიერებით. ხოლო მესამე — პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ძირეული გარდაქმნით. შრომითი კოლექტივების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით.

და სწორედ ახლა, ამ მესამე, ჩვენი ბრძოლის ყველაზე ძნელ და გადამწყვეტ ეტაპზე. მიზნად არის დასახული ხელმძღვანელობის ნახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურის. შემდგომი სრულყოფა, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე პარტიული გავლენის გაძლიერება.

ამიტომ არის, რომ 1974 **ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ** პოლიტიკური, სამეურნეო და იდეოლოგიური საქმიანობის სფეროში ამ გოლო დროს მიღებულ ყველა გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების შემოწმების წელიწადად.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კარგად დაყენებული კონტროლი და შესრულების შემოწმება, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით კადრების აღზრდის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის უმკაცრესი დაცვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. არ არსებობს სხვა უფრო მძლავრი იარაღი ქადალდმაზველობის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ვიდრე შესრულების სისტემატური შემოწმება.

აი რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მომავალი პლენუმის განსახილველად გამოაქვს ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი, თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის ყურადღებას კვლავ და კვლავ მიაქცევს ვ. ი. ლენინის სიტყვებს, რომ **შემაჯამოწმოთ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲝᲬᲛᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.**

შესამოწმებელი კი ცოტა როდი გვაქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანს მიიღო უაღრესად პრინციპული, საქმიანი და გაბედული გადაწყვეტილებები. ისინი, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია წარსული წლებიდან მემკვიდრეობით მიღებული ხამახინჯისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყლულების აღსაკვეთად, იმ ყოველგვარი ანტიპოდების წინააღმდეგ, ისე რომ აბრკოლებდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას, ზნეობრივად ამახინჯებდნენ ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს, განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდობას.

დიახ, განუწყვეტლივ უნდა ვამოწმებდეთ იმას, თუ როგორ იბრძვიან ამა თუ იმ კოლექტივში ხუცუბნელი და ტუვიაელი, ელმავალსამშენებლო და საავიაციო ქარხნების მშრომელთა ინიციატივის განსახორციელებლად, მექრთამეობისა და პროტექციონიზმის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად, პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად.

მთავარზე მთავარია მეტი ყურადღება მივაპყროთ არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზებს. ისინი კი კვლავ ცოტა როდია ჩვენი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. ბოლო უნდა მოვუღოთ მოშეებულობასა და უპასუხისმგებლობას, ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას.

— **ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ,** — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა უამრავის თვისების 20 წლისთავის ზეიმზე, — **ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲓᲒᲝᲛᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲒᲘᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲕᲐᲠᲔᲑᲐ, ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲒᲝᲛᲘᲡ, ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲠᲒᲔᲑᲐ — ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲠᲛᲝᲤᲮᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲔᲜᲘᲗ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲐᲜᲘᲙᲝ ᲣᲨᲐᲣᲜᲘᲫᲔ მახარაძის რაიონის ხოფელ შრომის კოლმეურნეობაში ერთ-ერთ მოწინავე მეჩაიედ ითვლება. მან უკვე მოკრიფა 3.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. წლიური გეგმით კი გათვალისწინებულია 4.600 კილოგრამი.

ა. უუბუნაძემ ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით მოკრიფოს ათასობით კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ᲜᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მოწინავე მეჩაიე ა. უუბუნაძე.
ნ. ანასტასიშვილის ფოტო
(ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ

Ლ. Მ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢ „ᲐᲠᲐᲢᲘᲢᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულთადად მოგილოცავთ დიდ შრომითს მიღწევას—ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას — მეცხრე ხუთწლედში ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადამეტებით 1230 ათასი ტონა ამატიტის კონცენტრატის გამომუშავებას, იმის მეორებით, რომ დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა კომბინატის პარტიული ორგანიზაცია, თავდადებით, შემოქმედებითად შრომობს მთელი კოლექტივი იმერეთელ ოქრეთის პირობებში, განხორციელდა წარმოების ფართო ინდუსტრიალიზაცია, მოქმედი საამქროების რეკონსტრუქცია, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია, სამწლედ-ნახევარში ხუთწლედის დავალებათა გადამეტებით 1,8 მილიონი ტონა ამატიტის კონცენტრატი. ამდენი კონცენტრატი საკმარისია 3,3 მილიონი ტონა ფოსფორის სასუქების გამოსაშვებად, რომლებიც ასე სჭირდება სოფლის მეურნეობას.

კარგად შრომობს კომბინატის კოლექტივი მომდინარე, ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს. დადგენილ ვადაზე ადრე ამოქმედდა და ათვისებულია ახალი დიდი სამძლავრენი, გადაჭარბებით შესრულდა 1974 წლის პირველი ნახევრის წარმოების შემხვედრი გეგმა. წარმოების მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ის, რომ აქ გამოდის მხოლოდ ხარისხის სახელმწიფოთნიშნიანი ამატიტის კონცენტრატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენი ერთსულოვანი კოლექტივი ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწევს და კვლავაც იქნება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

□

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-672“

1972 ᲬᲚᲘᲡ 12 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-672“. თანამგზავრზე დადგმული ავტომატური ნორმალურად მუშაობს. საკორრიდირებელ-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲞᲘᲠᲝᲒᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის (დირექტორი რ. ქარცივაძე) კოლექტივი იბრძვის ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ტრაქტორშენებლებმა სასაქონლო პროდუქციის 7 თვის გეგმა 107,5 პროცენტით გაანაღდეს. საერთო პროდუქციის — 107,8 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 107,8 პროცენტით, გეგმის ზევით რეალიზებულია 221 ათასი მანეთის პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაცია 34,1 პროცენტით გაზარდა.

საამქროთა შორის შეჯიბრებაში დაწინაურდა № 2 ამქრის-მექანიკური საამქრო და № 3 მექანიკური უბანი, რომლებსაც რ. ბეხიძე და ჯ. მამრიკაშვილი ხელმძღვანელობენ. საწარმოში მუშათა დიდი ნაწილი ჩაბმულია ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. სისტემატურად ჭარბდება მათი მუშაობის შედეგები, მტკიცე კონტროლია დაწესებული ყოველ უბანზე. დროის მაკსიმალური გამოყენებითა და მასალების ეკონომიური ხარჯვით, კვალიფიკაციის სრულყოფით, საუკეთესო შედეგები გამოიჩიეენან ძოლაევები გ. გიორგაძე, შ. მგალობლიშვილი, მეავტომატე ს. ფეფარიშვილი. ისინი ყოველდიურ დავალებებს 130-135 პროცენტით ანაღდებენ.

ᲘᲕ. ᲑᲣᲗᲐᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲠᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). აღმავლობით შრომობენ მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტები და სამმართველოები. განვლილი შვიდი თვის დავალება სამინისტრომ 103,3 პროცენტით გაანაღდა, საექსპლოატაციოდ გადასცა 413 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საბინაო მშენებლობასთან ერთად სამინისტროს ორგანიზაციები წარმატებით ანაღდებენ ხასკოლო მშენებლობისა და სახალხო მეურნეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო დავალებებს. წარმატებები მოპოვებულია ისეთ დიდ ობიექტებზე, როგორიც არის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, ჭიათურის მარგანეცის ჭალების მაღაროს, ზუგდიდის ფაიფურ-ქაშანურის ქარხნის მშენებლები.

მშენებლები დათქმულ პირობას ასრულებენ — წელს საცხოვრებელი ბინების, აგრეთვე სხვა სამშენებლო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა ხდება რიტმულად, დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, ეს იმის შედეგიც არის, რომ უკანასკნელ ხანს ადგილებზე დიდი ყურადღება ექცევა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის, შემოწმების საკითხებს.

სამინისტროს კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომავალი ხუთწლედის უზრუნველსაყოფად ინდუსტრიული ბაზის განვითარებას.

Რ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲥᲝᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲐᲠ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ — ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებისათვის — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებანი საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის საბრძოლო პროგრამად გახდა, როცა ინტიმოდების, ნაკლოვანებების, კომუნისტური მორალისაგან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლამ მეტად მწვავე და პრინციპული ხასიათი მიიღო, ისეთი ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანებზე ზრუნვას. უნდა დაეუბამოთ მათ, რომ არ აცდენენ გზას, არ დაკარგონ პირადი ღირსებისა და საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, პატიოსნად და სინდისშეუბღალავად იმუშაონ და იცხოვრონ. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა აუცილებელი და მნიშვნელოვანია შეეიმუშაოთ და დანერგოთ მატერიალური და მორალური სტიმულირების ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც დაამშვენებენ მაღალორგანიზებულ, შეგნებულ შრომას, ხელს შეუწყობენ მომსახურების სფეროში მაღალი კულტურის, მომხმარებელზე ზრუნვის, დაკისრებული მოვალეობისა და თავის სამუშაო უბნისადმი პატივისცემის, დაინტერესებულობის ატმოსფეროს შექმნას.

მაგრამ საკმარისი არ არის გვესმოდეს ეს, საჭიროა რაიმე ვიღონოთ, შევიმუშაოთ გადამჭრელი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა დასაძლევად. ხომ არ შეიძლება დაბალი ხელფასის განაკვეთების მომიზეზებით დავაკანონოთ ვაჭრობის წესების დარღვევა, მოტაცება, ქურდობა!

ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში წარმატებით ინერგება ვაჭრობის მუშაკთა მატერიალური სტიმულირების პროგრესული ფორმები, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან საქონელბრუნვის, გეგმების წარმატებით რეალიზაციის, ვაჭრობის კულტურის ამაღლებისა და ამ დარგის მუშაკთა ხელფასის მკვეთრი გადიდებისათვის.

სამწუხაროდ, ეს დადებითი გამოცდილება ჩვენი რესპუბლიკის სავაჭრო ობიექტებში უკანასკნელ დრამდე არ სარგებლობდა მხარდაჭერით, პატივისცემით, უფრო მეტიც: აქა-იქ შეიგრძნობოდა ისეთი განწყობილებაც, როცა ეალკეული მუშაკისათვის ხელფასის ოდენობა როდი იყო მთავარი საკითხი.

დღევანდელ პირობებში ვაჭრობის მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვას, რომელსაც უნდა მოჰყვეს საქონელბრუნვის გადაჭრით გაუმჯობესება და ვაჭრობის მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი ამაღლება, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება,

სწორედ ამ პრობლემებზე საუბრისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამა თუ იმ წინად მოწვეული ეკვნენ პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული მუშაკები, ვაჭრობის დარგში მომუშავე რიგითი ადამიანები, ყველა ისინი, ვინაც უშუალოდ ეხება და ვინც დაინტერესებულია ამ პრობლემებით.

ბევრი საინტერესო და საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა ამ საუბრის დროს, ბევრი გაბედული წინადადება წამოაყენეს.

უწინარეს ყოვლისა ყურადღება იქნა გამახვილებული ინ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ვაჭრობის მუშაკების ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვისა და გამოყენების საქმეში არსებობს. აღინიშნა, რომ ბევრ საავჭრო ორგანიზაციაში არა აქვთ მატერიალური წახალისების ღონისძიების აღრიცხვა, არა აქვთ დამტკიცებული სათანადო დებულებები პრემიების შესახებ. ამის შედეგად შარშან, მაგალითად, ცეკავშირის სისტემაში მატერიალური წახალისების თონდიდან დაუხარჯავი დარჩა 3.950 ათასი მანეთი. განსაკუთრებით უყურადღებოდ არის დატოვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისა და მუშაკების დაჯილდოებისათვის ვათვალისწინებული სახსრები. ხშირად ფიბულებები პრემიების მიკუთვნების შესახებ მტკიცდება ეკონომიური დასაბუთების გარეშე, ხოლო წლიური შედეგების მიხედვით პრემიების ოდენობის დადგენის დროს არ ითვალისწინებენ შრომით წვლილსა და მუშაობის სტაჟს. პრემიების მიკუთვნების დებულება განსაკუთრებით ირღვევა ვამყადებელების: თვის პრემიების დარიცხვის დროს.

ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, საწარმოთა ხელმძღვანელები და საინგარიშო დარგის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შრომის ანაზღაურებისა და კანონმდებლობის საკითხების შესწავლას, რის გამოც სავაჭრო საწარმოებში დღემდე დანერგილი არ არის ანგარიშსწორების წიგნაკები, რის მეშვეობითაც მუშაკს საშუალება ექნებოდა კონტროლი გაეწია თავის ხელფასის დარიცხვის სისწორეზე.

ეს და მრავალი სხვა ნაკლოვანება ვაჭრობის მუშაკების მატერიალური სტიმულირების საქმეში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რესპუბლიკის ზოგი რაიონის, ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ხელფასისა და შრომის ნორმატივების კომისიები სათანადო კონტროლს არ უწევენ, თუ რამდენად არის დაცული **დებულებები შრომის ანაზღაურებასა** და შრომის კანონმდებლობაზე. ამასთან არ აწარმოებენ **შეიმუშავონ** ეკონომიური სტიმულირების ეფექტური ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შედეგად ვაჭრობის დარგის ბევრი მუშაკი, რომლებიც ადრე 80-88 მანეთს იღებდნენ, უკვე 140-160 მანეთს იღებენ ყოველთვიურად. ცხადია, ასეთი მუშაკებისგან ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ შესაფერი დისციპლინა და კულტურა, წამოვუყენოთ მათ უფრო მაღალი მოთხოვნები.

საუბრის დროს გამოითქვა ბევრი საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად როგორ უნდა წარმართონ მუშაობა კომისიებმა, რომლებიც ვაჭრობის მუშაკთა მატერიალური სტიმულირების უკეთ მოწყობის მიზნით შეიქმნება. კ ამ კომისიები დიფერენციურად უნდა მოეკიდონ საქმეს, შეისწავლონ ვაჭრობის მთელი სისტემა და შეიმუშაონ სერიოზული, სოლიდური და რეალური ღონისძიებანი. საუბრებით სამართლიანად თქვეა, რომ ყველა დარგს აქვს თავისებურება, არ შეიძლება ერთნაირი საზომით მიეუდგეთ სამეს, როცა ის ეხება სხვადასხვა სავაჭრო ქსელს — ვთქვათ, პურეაჭრობის, ცეკავშირის, წიგნის, მოლაზის მუშაკებს. მატერიალური სტიმულირ ებ ის ახალი ფორმების შემუშავებისას ასევე სხვადასხვა კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ ყველა ვაჭრობის, მრეწველ ვაჭრობის, ხილ-ბოსტნეულ ვაჭრობის, სახელმწიფო ბრივი ვაჭრობის (განსაკუთრებით მუშათა, სტუდენტთა და მოსწავლეთა სასადილოების) სისტემის საწარმოთა მუშაკებს.

ცხადია სტიმულირების ახალი ფორმების დანერგვისას ზნადაგზა იქნება სიძნელეები და წინააღმდეგობანი, მაგრამ როგორც ეს ხალხთან, ვაჭრობის მუშაკებთან ამ საინტერესო შეხვედრისა და საუბრისა მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ზდისლავ ყანდაროვსკი.

გულთბილი, ამხანაგური საუბრის დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. პატარიძემ სტუდენტს, უამბო, თუ როგორ ჩაუდგნენ სათავეში პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები რესპუბლიკის მშრომელთა მოძრაობას ხუთწლედის შეოთხე წლის დაკალებათა წარმატებით შესრულებისათვის, როგორ წყვეტენ ისინი პრაქტიკულად მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, განმტკიცებენ სამეურნეო გეგმებს ფართო ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით.

თავის მხრივ ზ. ყანდაროვსკიმ ილაპარაკა პოლონელი ხალხის წარმატებებზე სოციალისტურ მშენებლობაში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების მეორე პირველი მოადგილე ვ. საქსაგანსკი, ამ განყოფილების გამგის მოადგილე მ. დაელია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახლეკარგეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ოყროშიძე.

(საქინფორმი).

ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ქვეყანაში მოგზაურობს სტუდენტების მოსკოვის VI საერთაშორისო საზაფხულო კურსების მსმენელთა ჯგუფი. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინდოეთის, ირლანდიის, განის, ბოლივიის, პანამის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

კურსების მსმენელნი თბილისში ყოფნისას შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ი. ე. ჩერქეზიას. შემდეგ იყვნენ რუსთავში, ეწვივნენ მეტალურგიულ ქარხანას.

11 აგვისტოს სტუმრები თბილისიდან სოხუმში გაემგზავრნენ. (საქინფორმი).



ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ლერძი.

ვ. ი. ლენინი.

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესახვედრად

1974 შესრულების შემოწმების წელი

რაიკომი და გადაწყვეტილებათა შესრულება

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის მთელი ისტორია და მუშაობის მდიდარი გამოცდილება თვალნათლივ ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, შესრულების შემოწმებაზე, თვითეული პარტიული ორგანიზაციისა-ი, თვითეული კომუნისტისადმი მომთხოვნელობის ამაგვუ-ტორი.

ამალავი როდია, რომ რესპუბლიკაში წლების მანკაცი, გამეფებული ნეგატიური მოვლენების პირობებსაქმეს ირი პარტიული გადაწყვეტილება სუბიექტური იყო, იმკის. ყარებოდა მეცნიერულ საფუძვლებს და, ბუნებ-ჯილდერომ არც განხორციელება ეწერა. ხდებოდა ისიც, ოციანარ დადგენილებებს იღებდნენ, მაგრამ იმის გამო, სამუსაკოდებში მათ არ განამტკიცებდნენ სათანადო ორგა-მოღვაწე ლი მუშაობით და სუსტი იყო კონტროლი შესრის არისდმი, ისინი მხოლოდ ფარატინა ქაღალდებად ეროვნულენ.

ვი მოღვაწ შეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელო-ველოს გეუმჯობესების, პარტიული მუშაობის ლენინური ფეალის დამკვიდრებისათვის საქართველოს კომუნისტური-რი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულ უაღრესად პრინციპულ ღონისძიებებმა მკაფიოდ არის გამოკვეთილი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის სისტემატური ზრუნვა, მათზე მტკიცე ქმედითი კონტროლი.

მიმდინარე წელი რესპუბლიკაში გამოცხადებულია მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების წლად. და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან, თუ პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად იბრძვის პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ეს იმის ნიშნავს, რომ იგი ზრუნავს კადრების სწორად შერჩევისა და განწილებისათვის, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

„შესრულების კარგად მოგვარებული შემოწმება, — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — კადრების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. იგი უნდა წარმოუდგეს ხისტემატურად, ეხმარებოდეს შეცდომების გამოსწორებას, დახახული ამოცანების უკეთესი, ყველაზე სწორი გადაჭრის გზების გამონახვას“.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომს, მის იქტიეს ღრმად აქვთ შეგნებული პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების დროული და სწორი შემოწმების უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ XXX რაიონული პარტიული კონფერენციის, აგრეთვე რაიკომის პლენუმების, პარტიული იქტივის კრებებისა და ბიუროს დადგენილებათა შესრულებას.

ცნობილია, რომ მიღებული დადგენილების შესრულებას ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ **რამდენად რეალურ საფუძველს ემყარება იგი, არსებობს თუ არა მისი განხორციელების საშუალებანი.** ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას წინ უძღვის საკითხის ღრმად შესწავლა მათთან ერთად, ვინც უშუალოდ უნდა განხორციელოს ისინი.

რაიონში მკვეთრად იგრძნობა ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეთა უკმარისობა, რაც ხელს უშლის ნედლეულის შეფუფრებელ მიღება-გადამუშავებას. ამიტომ დამატებით შენდება შემოქმედისა და შრომის ჩაის ფაბრიკები, რომელთა მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებული იყო 1975 წლისთვის. პარტიულ კონფერენციაზე ლაპარაკი იყო ჩაის ფაბრიკების მშენებლობის დაჩქარებაზე. პარტიის რაიკომმა მე-13 მოძრავი მექანიზებული კოლონის, აგრეთვე შრომის, ხატანების, ოხინეკლისა და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის ხელმძღვანელებთან ერთად გულდასმით შეისწავლა მდგომარეობა, აწონ-დაწონა პარტიული შესაძლებლობანი და მოამზადა საკითხი რაიკომის ბიუროს განსახილველად. ბიურომ მიიღო დადგენილება კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით დაეჩქარებინა შრომის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, იმ ანგარიშით, რომ იგი მწყობრში ჩამდგარიყო ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის წინ. ბიუროს დადგენილებაში კონკრეტულად იქნა განსაზღვრული, თუ ვის რა ეკალთებოდა. ამის შემდეგ დაწესდა მტკიცე კონტროლი დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე. მშენებლობას სისტემატურად ადევნებდა თვალყურს პარტიის რაიკომის ერთ-ერთი მდივანი, რომელიც ოპერატიულად იღებდა ზომებს მშენებლობის ნორმალურად წარმართვისათვის, საჭიროების შემთხვევაში კი აყენებდა საკითხს რაიკომის ბიუროს წინაშე სათანადო რეგალირებისათვის. დადგენილების შესრულებისადმი კონტროლის ასეთმა ფორმამ დადებითი შედეგი გამოიღო: ფაბრიკა სეზონის დაწყებამდე შვიდი თვით ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ.

სოფელ სილაურის კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელი წლების მანძილზე თავს ვერ ართმევდნენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს, რის გამოც ჩამორჩა მეურნეობის წამყვანი დარგები — მეჩაიეობა, მეცხოველეობა და სხვ. სოფლიდან ბევრ საბავრის გზავნიდნენ პარტიის რაიონულ კომიტეტსა და რესპუბლიკურ ორგანოებში, მეცხოვრებნი უნიათდნენ კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებს.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ სხვადასხვა დროს იმსჯელა სოფელში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე მ. სარიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ჯ. კოგუაძე, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. გოგუაძე გათავისუფლებულ იქნენ დაკავებული პოსტებიდან, ხოლო მთავარი აგრონომი ლ. კილაძე ჩამოყენებულ იქნა უფრო დაბალ თანამდებობაზე.

პარტიის რაიონული კომიტეტი ახორციელებს სისტემატურ კონტროლს ამ დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე. ამავე დროს ზონის ინსტრუქტორი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები საჭირო დახმარებას უწევენ სოფლის განახლებულ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მოსახლეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უკეთ მოწყობის უზრუნველსაყოფად. ამ ღონისძიებებმა უკვე მოგვცა პირველი სასურველი შედეგები. კოლმეურნეობამ წარმატებით გაანღდა ყველა სახის ნახვევარწლიური დავალებანი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმა-გალდებულება 1 ივლისისათვის შესრულა 62 პროცენტით, ხოლო მაის-ივნისისა — 119 პროცენტით. დავალების ვადამეტებით დამზადდა და შესყიდულ იქნა აბრეშუმის პარკი და ხორცი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია 83 პროცენტით მეტი რძე.

ვადაყვეტილებათა შესრულების შემოწმების ერთ-ერთი ფორმაა **ხელმძღვანელი მუშაკების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საწარმოთა დირექტორების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშები.**

გასული წლის 27 დეკემბერს რაიკომის ბიურომ მოისმინა მაღაროთა სამმართველოს დირექტორის თ. ქილეფთარის ანგარიში ხუთწლედის გადამყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. ერთგვარ წარმატებათა მიუხედავად კოლექტივში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს: მოისუსტებდა ალმზრდელობითი მუშაობა, რის გამოც უხეშად ეროვნოდა საზოგადოებრივი წესრიგი, არ სრულდებოდა ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვების გეგმები, ნაკლებად იგრძნობოდა კომუნისტთა ავანგარდული როლი.

მაღაროელებმა საფუძვლიანი დასკვნები გაიკეთეს რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან. დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ შეიმუშავეს მოქმედების კონკრეტული გეგმა ხუთწლედის განმსაზღვრული წლისათვის. რაიკომმა დაიწყო კონტროლი დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე. ბიურო სისტემატურად ინფორმირებულია მაღაროელთა კოლექტივში მიმდგომარეობაზე ზონის ინსტრუქტორის მეშვეობით. **ვადაყვეტილებათა** შესრულებისადმი თანმიმდევრულმა კონტროლმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სამეურნეო წარმატებებზე. სამმართველოს კოლექტივმა 115 პროცენტით შეასრულა წარმოების, ხოლო 109 პროცენტით პროდუქციის რეალიზაციის გეგმები, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

შესრულების შემოწმებისა და კონტროლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს **პარტიული ორგანიზაციების ინფორმირებას რაიკომის, მიხი ბიუროს საქმიანობის შესახებ.** მიმდინარე წლის 29 ივნისს პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა მოისმინა მეორე მდივნის მ. ლომაძის ინფორმაცია ბიუროს მიერ პლენუმების შორის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების ყურადღებას აქცევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიულმა კომიტეტმა შეიმუშავა საანგარიშო საარჩევნო კრებაზე კომუნისტების მიერ დაყენებული წინადადებებისა და კრების მიერ მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა, რომელიც დაამტკიცა პარტიული კომიტეტის სხდომაზე. გეგმის შემუშავება იმით არის განპირობებული, რომ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა საკითხის ერთდროულად გადაჭრა შეუძლებელია, ხოლო ზოგიერთი მათგანის მოგვარება ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. 21 თებერვალს პარტიულმა კომიტეტმა განიხილა ამ გეგმის შესრულების მიმდინარეობა. სხდომაზე აღინიშნა, რომ გეგმით გათვალისწინებული 18 საკითხიდან შესრულებულია 14. შეკეთდა მესამე და მეხუთე აგრეგანყოფილებათა მოშების საცხოვრებელი ბინები, მეცხრე აგრეგანყოფილებაში კი უახლოეს დროში დამთავრდება რვა-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, მთავრდება წითელი კუთხის მოწყობა ავტოპარკში, მეექვსე და მეთე აგრეგანყოფილებათა კლუბებისათვის შეძენილ იქნა კინოდანადგარი და სხვ.

ამ რვა თვის წინ მახარაძის აბრეშუმის ბაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი საკრებ საამქროში შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. აღინიშნა, რომ საამქროში შესუსტდა ხელმძღვანელობა და მომთხოვნელობა შრომითი კოლექტივისადმი. საამქროს უფროსის, ოსტატებისა და ქვეოსტატების სუსტი კონტროლის გამო ხშირად იღღეოდა ტექნოლოგიური რეჟიმი, ადგილი ჰქონდა ნედლეულის უყაირათო ხარჯვას, გაუარესდა პროდუქციის ხარისხი. ფაბრიკას ხშირად უფდებოდა ჯარიმების გადახდა, აბიც თუ ამბავია იყო შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები, საამქროს ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია ურიგდებოდა შექმნილ მდგომარეობას, ისინი არ ახორციელებდნენ ქმედითს ღონისძიებებს მუშა-მოსამსახურეთა შორის ალმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კომუნისტებმა შეიმუშავეს კარგად მოფიქრებული ღონისძიებანი. შეიცვალა საამქროს უფროსი. დაბარების მიზნით აქ გარკვეული ვადით იქნა მიმაგრებული სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, კომუნისტი გ. კახაძე. საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გამოაცოცხლა კოლექტივში მასობრივ-პოლიტიკური ნუშაობა, გაძლიერდა კომუნისტებისადმი მომთხოვნელობა, ამაღლდა მათი ავანგარდული როლი.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში დაინერგა მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმების კიდევ ერთი ახალი ფორმა — **საწარმოთა და კოლმეურნეობათა მიერ ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე შემოქმედებითი ანგარიშის ჩაბარება რაიონის მშრომელებისათვის.**

ანგარიშის ჩაბარება ხდება საჯაროდ, თვალსაჩინოების გამოყენებით. შემოღებულია მუშაობის შეფასების ხუთბალიანი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს არამარტო შრომითი კოლექტივების სამეურნეო მაჩვენებლებს, არამედ მორალურ სულისკვეთებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობას და სხვ. დღემდე შემოქმედებითი ანგარიში ჩაბარა სამმა საწარმომ და ერთმა კოლმეურნეობამ.

დადგენილებათა შესრულების საქმეში რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი აქვს. როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს ჩვენი რაიონის მეჩაიეები გამოვიდნენ ინიციატივით გადაკეთეს 1974 წელი ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის წლად. პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების მუშაობის ხარვეზებზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ათ ვიო შემლეს დაეროსმაო ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები სიტყვის საქმედ გადაქცევისათვის. ამაზე მიუთითებს ის, რომ დამზადებული ჩაის ნედლეულის საერთო რაოდენობაში კვლავ მაღალი იყო მეორე ხარისხის ხვედრითი წილი. სწორედ ამის გამო, რაიკომის ბიუროს იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხს. 21 იანვარს შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიმართა რაიკომის ბიუროს გაფსელი სხდომა, პრინციპულად ვიმსჯელეთ ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე და დავსახეთ ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ დადებითი ძვრები უკვე არის, მეორე ხარისხის რაოდენობა საგრძნობლად დაკლებულა.

ახლა პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები იმისათვის ისწრაფვიან, რომ ყოველი ღონისძიებით აამაღლონ ადამიანთა პასუხისმგებლობა, განავითარონ თვითეული მათგანის ინიციატივა და აქტივობა.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში ცხადია, თავის სიტყვას იტყვის შესრულების სწორი, ქმედითი კონტროლი, როგორც ვ. ი. ლენინი უწოდებდა მას, ჩვენი მუშაობის ღერძი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი — XIV პლენუმი, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში გაიმართება, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობს, რათა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი დავაყენოთ მაღალ დონეზე.

ე. მალაზონია.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი.

ბევრი მოწინავე წარმოების მუშაკი ქალია თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში. ისინი სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. იმათ შორის, ვინც ქმნის მაღალხარისხოვან პროდუქციას, სამართლიანად ასახელებენ მოწინავე მკერავს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს რუსუდან ცოცაგს.

სურათზე: მოწინავე მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რუსუდან ცოცაგი.

(ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფრანგი სტუმარი

თბილისში ჩამოსული საფრანგეთის არქივების გენერალური დირექტორი, არქივთა საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი გი დიუბოსკი 12 აგვისტოს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ე. ჩერქეზიას.

შეხვედრისას გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც ო. ე. ჩერქეზიამ გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკაში გი დიუბოსკის ყოფნა, საქართველოში საარქივო საქმის „გაცნობა სარგებლობის მოუტანს ორივე მხარეს.

გი დიუბოსკიმ თქვა, რომ კონტატქტები, რომლებიც აქ დაამყარა, ფრიად მნიშვნელოვნად მიიჩნია.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამიერი საარქივო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ა. მ. პეგოვი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი ვ. ი. კაპარაძე.

ფრანგი სტუმარი ამავე დღეს გაეცნო საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოსა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის მუშაობას.

საფრანგეთის არქივების გენერალური დირექტორი, არქივთა საერთაშორისო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი იმოგზაურებს საქართველოში, გაეცნობა ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ძეგლებს.

(საქინფორმი).

სასკოლო მუშაობა დამკვრელური ფრონტი

სასიცხარულოც და საწყენიც

„კომუნისტის“ რეიდი

ეარმან, აგვისტოში თიანეთში მოწყობილი რეიდის მონაწილენი „კომუნისტში“ წერდნენ: ვინც ივრისპირეთში სკოლებს შემოივლის, არა გგონია კარგ გუნებაზე დადგეს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო მშენებლობა ყველაზე ჩამორჩენილია ამ მთიან მხარეში. ამჟამად დაკირავებულ ბინებშია მოთავსებული რვა დაწყებითი სკოლა, შეუფერებელი შენობები აქვთ ღულელების, ტუშურების, ზარიძეების, საყდრიონის, თრანის, მაგრანეთის და ორბეველის სკოლებს.

ამ სტრიქონების დაწერიდან მხოლოდ ერთი წელი გავიდა, და ბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თიანეთის რაიონში ბევრი გაკეთდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის უკეთ მოწყობისათვის. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წელს რაიონს შეემატება დაწყებითი სკოლის ზეიდი ახალი შენობა, აქედან მაგრანეთისა და თრანში კაპიტალური შენობები, ხოლო ლელოვანში, ლიშიში, ყუდრონში, ალოტში — სტანდარტული (ფინური ტიპის) შენობები; ასეთივე ტიპის სკოლა შენდება შარახევში, მთავრდება ახალსოფლის რვაწლიანი სკოლის სასკოლო ინტერნატის ორსართულიანი შენობის აგება სამეცი მოსწავლისათვის, ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის შენობას სახურავი შეუდგესალეს, ამასთან სკოლას შეემატება ოთხი ახალი სასკოლო ოთახი. სვიმონიანთხევის საშუალო სკოლასთან აგება მასწავლებლთა კბილტელური საცხოვრებელი, გორანაში განაახლეს დაწყებითი სკოლის შენობა, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ჩეკურიანთგორის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელთა საცხოვრებელს, სიონის საშუალო სკოლა შეაკეთეს, მაგრამ გამოსაცვლელია სახურავი.

ერთი სიტყვით, იგრძნობა, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები, პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი, აგრეთვე საშეფო ორგანიზაციები — კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმო-დაწესებულებები უფრო მეტად ზრუნავენ სასკოლო მშენებლობისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. რეიდის მონაწილენი ვესაუბრეთ თიანეთის სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსს ე. ბიჩინაშვილს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველი ტრესტის № 38 მექანიზირებული კოლონის უფროსს ვ. მგელიაშვილს, თიანეთის რაისაბჭოს განათლების განყოფილების გამგეს დ. ენონელაშვილს, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. ჩოხელს, რომლებმაც გულახდილად თქვეს, რომ სკოლების რემონტისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი 65 ათასი მანეთი სრულიადაც არ არის საკმარისი, ასევე საკმარისი არ არის ფონდირებული მასალები. მაგალითად, რემონტი რომ წესიერად ჩატარდეს, აუცილებელია 200 კუბმეტრი ხე-ტყე მაინც, გამოყოფილია მხოლოდ 36 კუბმეტრი დახერხილი და 14 კუბმეტრი მრგვალი მასალა. ეს მაშინ, როცა მარტო ხევსურთსოფლის სკოლის რემონტს 80 კუბმეტრი ხე-ტყე დასჭირდა. თითქმის ყველა სკოლას სჭირდება სახურავის გამოცვლა, გამოყოფილი შიფერი კი მოთხოვნილებას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს.

რაიონში საკმარისად მოიპოვება ხე-ტყის მასალა, რომელსაც თიანეთის სატყეო მეურნეობა ამზადებს, მაგრამ მისი შემენის უფლება სკოლებს არა აქვთ, ამასთან იგი მეტისმეტად ძვირია.

ბევრი სკოლის ეზო კეთილმოუწყობელია. ან კი რა კეთილმოწყობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ახალ სკოლებსაც კი, რომლებიც წელს აშენდა, ეზო სულაც არა აქვთ. აბა რა ეზოა, თუ შემოღობილი არ არის. ეზოების შემოღობვა პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით არ გაუთვალისწინებიათ. ამით დაკმაყოფილებულან სკოლის მესვეურები და არ უფიქრიათ გამოძებნათ თვით რაიონში სახსრები სკოლის ეზოს შემოსაკავებლად. ადგილობრივ საბჭოებს კი აქვთ იმის საშუალება, რომ არც ერთი სასკოლო ეზო შემოუღობავი არ დარჩეს.

როგორც ზემოთ ითქვა, სკოლების რემონტი დროზე დაიწყო, რაისაბჭოს აღმასკომმა გარდამავალი წითელი დროშა დაიწესა იმ სასოფლო და საადამო საბჭოს დასაჯილდოებლად, რომელიც გაიმარჯვებს ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო სასალხო განათლების განყოფილებამ დაიწესა გარდამავალი წითელი დროშა მოწინავე სკოლისათვის, რომელიც საუკეთესოდ მოემზადება საპრეველსტემბროდ. მიუხედავად ამისა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. რეიდის მონაწილეებმა, რომელიც ამ დღეებში მოეწყო, დათვალიერეს ალოტის დაწყებითი სკოლის ახალი შენობის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს შენობის მოდამოწყობა.

ახალი სასწავლო წლისათვის ძირითადად მზად არის ჩეკურიანთგორის რვაწლიანი სკოლა. დამთავრებულია მიმდინარე რემონტი, წესრიგშია სასწავლო ინვენტარი, იმარაგებენ ზამთრისათვის საჭირო სათბობს. შენობა ახალია. მაგრამ თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

თოლეჯოს, ნადოკრის, ბალეებისხევისა და ტოლაანთსოფლის დაწყებითს სკოლებში საჭიროა მიმდინარე რემონტი, რომელიც ჯერ არ დაწყებულა. თოლეჯოში შესაცვლელია კარები, იატაკის ნაწილიც, ტოლაანთსოფლის სკოლას საკმაოდ მოწრდილი ეზო აქვს, მაგრამ იგი შემოუღობავი და გამოუყენებელია.

სიმონიანთხევის საშუალო სკოლის შენობა ახალია, მისი აგება შარშან დამთავრდა, მაგრამ კედლებს დაინც სჭირდება გალესვა-შეთეთრება, სარემონტო ზოგიერთი ინვენტარიც, რამდენიმე ფანჯარას აკლია მინები, ზოგიერთი ფანჯარა არ იკეტება, სკოლას დღემდე არა აქვს საჭირო სათბობი.

„კომუნისტში“ შარშანაც დაიწერა ღულელების საშუალო სკოლის (დირექტორი პ. საგინაშვილი) გაჭირვებაზე. ეს მდგომარეობა წელსაც გრძელდება. აქ თითქმის არ იგრძნობა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. თუ მსჯველობაში არ მივიღებთ სკოლის გარეთა კედლების ამოლესვას, სხვა არაფერია გაკეთებული.

რემონტი დღემდე არ დაუწყიათ ნაქალაქარის საშუალო სკოლშიც (დირექტორი ე. ზურაბიშვილი). შესაკეთებელია სასკოლო ინვენტარიც (მერხები, მაგიდები, დაფები). სასკოლო ინტერნატში წყალი ჩამოდის. სარემონტო-სამშენებლო კანტორა რატომღაც აგვიანებს რემონტის დაწყებას. ჯერ შენის შემოტანაც არ დაუწყიათ.

კარგი ღონისძიებები ხორციელდება ხევსურთსოფლის საშუალო სკოლაში. ბრტყელი გადახურვა, რომელიც სასკოლო შენობას ჰქონდა, ხშირად წაინდებოდა და წვიმის დროს წყალს აგარდებდა, იცვლება ჩვეულებრივი გადახურვით, რაც ალბათ ამ დღეებში დამთავრდება.

ცენტრალური გათბობის ქვაბები, აგრეთვე წყალგაყვანილობის ქსელი წესრიგშია მოსაყვანი თიანეთის საშუალო სკოლაში, თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატში, თიანეთის რვაწლიან სკოლაში და № 1 საბავშვო ბაღში, თრანისა და მაგრანეთის სკოლებში სანტექნიკა დამონტაჟებულია, მაგრამ ქვაბები არა აქვთ. ზოგ სკოლას წყალი აკლია.

კვლავ გული დაგვწყვიტა ზარიძეების რვაწლიანი სკოლის ხილვამ. სკოლის შენობა თანდათანობით ინგრევა, რემონტი ჯერჯერობით არ დაწყებულა, თუმცა ორიოდე მანქანა ხრეში მოუტანიათ.

დრო არ იცდის, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სულ ცოტა დრო დარჩა. საჭიროა ნაყოფიერად გამოვიყენოთ ყოველი საათი, დღე, რათა ყველა სკოლა მომზადებული შეხვდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

რეიდის მონაწილეები: მ. ბუჯიაშვილი — საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის ინსტრუქტორი; **ა. ობგაბიძე** — გაზეთ „ახალი თიანეთის“ რედაქტორი, **მ. ბუჯიაშვილი** — საქართველოს ალკ თიანეთის რაიკომის მეორე მდივანი, **ზ. აბიმიშვილი** — თიანეთის განათლების განყოფილების სახალხო ინსპექტორი, **მ. ბიჩინაშვილი** — მოსწავლის მშობელი, **ა. თომაძე** — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ეკონომიური კონსულტაცია

სეზონურების ახალი ფორმა

რა არის „მეცამეტე ხელფასი“ და როგორ გავცეთ იგი

რეფორმამდელ პერიოდში შესამჩნევი ნაკლოვანებები ახასიათებდა მუშაკთა მატერიალურ წახალისებას. მაშინ საწარმოთა მთელი შემოსავალი და მასთან დაკავშირებული მოგება ექვემდებარებოდა. ზემდგომი ორგანოების განკარგულებას. საწარმოთა მოგების ორი შესამედი ბიუჯეტში ირიცხებოდა, დარჩენილი თანხის დიდ ნაწილს კი კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისა და სხვა საგვიმო დანახარჯებისათვის იყენებდნენ. ამის გამო მატერიალური წახალისების ფონდები არ იძლეოდა წარმოების მუშაკთა დაინტერესებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების საშუალებას. ამრიგად, ფორმალური იყო სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნები.

ოფიციალური მონაცემებით, 1964 წელს ქვეყნის მრეწველობაში მიღებული მოგების 65 პროცენტი გადაირიცხა ბიუჯეტში, 8 პროცენტი დაინარჯა საწარმოთა კაპიტალური დაბანდებისათვის, 10 პროცენტი გამოყენებულ იქნა ნორმატიულ საკუთარ საშუალებათა გასადიდებლად, 11 პროცენტი გადაირიცხა შესაბამისი დარგების წამგებიან საწარმოთა დაფინანსებლად, მხოლოდ 6 პროცენტი დარჩათ საწარმოებს წახალისების ფონდების შესაქმნელად.

მოგების ასეთი განაწილება მაშინ შეიძლება მიზანშეწონილი იყო, რადგან მრეწველობის ექსტენსიური განვითარება, ე. ი. სარეწველო ობიექტების რიცხვის გადიდება ითითხოვდა სახელმწიფოს მხრივ მათი რესურსების მობილიზაციას. სამეურნეო რეფორმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესაბამისად მოგების ოპვალი განაწილება აღარ შეიძლებოდა ნორმალურად მიგვეჩნია. უამრავ საწარმოთა ტექნიკური სიმტოლის გამო შეუძლებელი გახდა მოქმედ მოწყობილობათა მოდერნიზაციის. ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების შემდგომი სრულყოფის საჭიროებათა ცენტრალიზებული წესით გათვალისწინება. ამიტომ საწარმოებს საშუალება მიეცათ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებით თვითონ გადაწყვიტონ წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის საჭიროებანი. სწორედ ამ მიზნით, როგორც ცნობილია, ახლა მოგების ანგარიშზე იქმნება წარმოების განვითარების ფონდი.

გარდა ამისა, ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად თვითეული საწარმო მოგებისა და სხვა საკუთარი რესურსების საფუძველზე ქმნის მატერიალური წახალისების ფონდს, აგრეთვე სოციალურ-კულტურული და საბინაო მშენებლობის ფონდს. ეს ფონდები საკმაოდ სტაბილური ნორმატივების მიხედვით იქმნება და ამიტომ სათანადოდ რეგლამენტირებულადაც იხარჯება.

გვინდა შევეხოთ მატერიალური წახალისების დარგებში მუშაობის წლიური შედეგების მიხედვით მატერიალური წახალისების ფონდიდან გასაცემი ჯილდოს (პრემიის) ფორმირებისა და ხარჯვის თავისებურებას. ამასთან აქვე უნდა მიგვთითოთო, რომ, რაკი მისი გაცემა წელიწადში ერთხელ ხდება, „მეცამეტე ხელფასის“ სახელწოდება ამიტომ მიიღო. ე. წ. „მეცამეტე ხელფასის“ შემქმნისა და გამოყენების ძირითადი, წინასწარ შემუშავებული წესი არ არსებობს, და ეს კანონზომიერიც არის, რადგან საამისო ფონდი დამოუკიდებელი და თავისთავადი რეფორმა არის გათვალისწინებული სათანადო ხარჯთაღრიცხვით, აგრეთვე ამავე „ფონდის სხვა მუხლების გამოუყენებელი თანხით და სოციალურად ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის თავისუფალი ნაშთით.

„მეცამეტე ხელფასის“ ფორმირებისა და ხარჯვის პირობები ემთხვევა საერთოდ მატერიალური წახალისების ფონდის შექმნა-გამოყენების წესს. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს შესრულებული უნდა ჰქონდეს ის წლიური დავალებანი, რაც გათვალისწინებულია პროდუქციის რეალიზაციის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლების მხრივ და ა. შ. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ წარმოების ჯლიერი ბემმების შესრულებლობის შემთხვევაში შესაბამისად მცირდება „მეცამეტე ხელფასის“ ბასაცემად წინასწარ გათვალისწინებული თანხა.

სათანადო სიზუსტეს მოითხოვს „მეცამეტე ხელფასის“ დარიცხვისა და გაცემის კონკრეტული წესის შემუშავება. იგი, სხვათა შორის, წარმოების ყველა კატეგორიის მუშაკს შეიძლება მიეცეს. ამასთან, აქვე უნდა ითქვას, რ

მსოფლიო დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული პროგლემები

გაშინგტონი, 12 აგვისტო. (საკდესი). შეერთებულ შტატებში არ წყდება ფასების და ინფლაციის მძაფრი ხრდა, რაც მძიმე ტვირთად აწვება ამერიკელთა ოჯახის ბიუჯეტს.

როგორც შრომის სამინისტრო იუწყება, სიბითუმო ფასები შეერთებულ შტატებში გასული თვის მანძილზე 3,7 პროცენტით გაიზარდა, რაც წლიური გაანგარიშებით ნიშნავს გაძვირებას 44 პროცენტით და მეტად.

ბევრად არ ჩამორჩენია ამერიკის შეერთებულ შტატებში სიბითუმო ფასების ზრდა სამომხმარებლო საქონლის საცალო ფასების მომატება, რომელიც ყოველთვიურად დაახლოებით 12,5 პროცენტით ძვირდებოდა წლიური გაანგარიშებით. სასურსათო საქონლის ფასების ზრდამ, წარს გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი", საშიში მასშტაბი მიიღო.

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა სერიოზულად აწუხებს სპეციალისტებს. ამერიკის ფინანსთა მდგომარეობაში ერთ-ერთი ყველაზე გთვითცნობიერებული ექსპერტი, ფედერალური სარეზერვო სისტემის სამეჭოს წევრი ებრომერი ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე გამოსვლისას, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ინფლაციამ უკვე შეამცირა ამერიკელთა მყიდველუნარიანობა, შეასუსტა ეკონომიკის ეფექტიანობა და გაართულა მდგომარეობა საფინანსო ბაზარზე.

ბრიმერი ერთობ პესიმისტურად აფასებს ამერიკის ეკონომიური მდგომარეობის გაჯანსაღების პერსპექტივებს.

სენიოზული შეშფოთება გამოთქვა აგრეთვე კონგრესმენმა გ. რეუსმა, რომელიც წარმომადგენელთა პალატის ბანკების და ვალუტის საკითხთა კომისიისა და კონგრესის გაერთიანებულ ეკონომიურ კომისიაში შედის. „ამავე სიმპოზიუმზე გამოსვლისას რეუსმა განაცხადა: „ამჟამად შეერთებული შტატები „ძალზე ახლოს მივიდნენ 30-იანი წლების კრიზისის დროიდან ყველაზე მძიმე ეკონომიურ უბედურებასთან".

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

□ ვაშინგტონი

მიიღეს კანონპროექტი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეფორმის შესახებ

□ სან-ხოსე

მოლითხოვენ კუბის წინააღმდეგ სანქციების გაუქმებას

□ დუბლინი

მიმართავა მთავრობისადმი ოლსტერის მშრომელთა უფლებების დასაცავად

ჯოჯოხეთში კუნძულ დოსონზე

ლ. კორვალანის ნაკამბოზი

მექიკო, 12 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ქვეყნების ადამიანის უფლებათა კომისიის წევრებმა, რომელებიც ეს-ეს არის ჩამოვიდნენ ჩილეიდან, შეკრიბეს ვრცელი მასალა შაშისტური ხუნტის საზარელ დანაშაულობათა შესახებ. ამ მასალებს შორის არის მაგნეტოფონის ფირი, რომელზეც ჩაწერილია ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის ნაამბობი დოსონის კუნძულის პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის შესახებ. მექსიკურმა გაზეთმა „ექსელსიორმა", რომლის ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ კომისიის მუშაობაში, გამოაქვეყნა ამ ნაამბობის ნაწილი.

ლ. კორვალანმა ილაპარაკა იმ მძიმე პირობებზე, რომელშიც დოსონის კუნძულის პოლიტიკური პატიმრები ჰყავს ჩილეს მხედრიონს. მან აღნიშნა, რომ პატიმრებს გამუდმებით შეურაცხყოფენ და სჯიან. ჩვენ, თქვა ჩილეს კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, არაადამიანურ პირობებში ვცხოვრობდით. სამხედროები ცდილობდნენ სულიერად და ფიზიკურად გვეტეხეთ, ჩვენს წინააღმდეგ ტანჯვა-წამების ყველაზე გაწყფელ მეთოდებს მიმართავდნენ.

ჩვენ, განაგრძო ლ. კორვალანმა, განთიადიდან გვიან ღამემდე გვამუშავებდნენ, ქინაკს გვაცლიდნენ. ვარეკონტებდით გზებს, ვაფენდით ტყეს, წყალმცენარეებისგან წეწვნდებოდა ბეთონებით სავსე არხებს.

სულ ზშიერ-მწყურვალნი ვიყავით. დილით გვაძლევდნენ პატარა ნაჭერ გამხმარ პურს და ტოლჩა წყალწყალა ჩაის ან ყავას. მერე „გვაშვებენდნენ" ცხელ წყალში ჩაყრილ რამდენიმე მარცვალ ლობიოს.

მედიცინაში ყოველნაირად გვამასხარაებდნენ და ამუნად გვიდებდნენ. საპირფარეშოშიც კი მხოლოდ გარკვეულ დროს გვიშვებდნენ, ისიც აკტომატების ულელებქვეშ. იმას, ვინც ვერ მოასწრებდა რაიმე ბრძანების შესრულებას, — მაგალითად, დროზე ვერ იკლიდა, მწყობრიდან არ გამოვიდოდა ან გაჩერდებოდა, სასტიკად სცემდნენ, მიწაზე პირდაპირ ტალახში დაწვენდნენ ზვიმაში, მერე კი ცალკე საკანში შაგდებდნენ ხოლმე. ბევრ ჩვენს ამხანაგს ქვაშით ან ქვით სავსე ტომრებს აზიდვინებდნენ მრავალ კილომეტრზე. მცველებს შეეძლოთ სულ უმნიშვნელო საბაბით წამოეყენოთ ღიმე ლოგინიდან და მწყობრში დავეყენებინეთ. და ამას სნადიოდნენ მას შემდეგ, რაც 12 საათს გვიწევდა კატორღული მუშაობა.

მცველებს შორის იყვნენ ისეთები, რომელებსაც სიამოვნებას გვრიდა ტუსაღებისათვის ავტომატის დამიზნება. სულ ამის შიშში ვიყავით, რომ ტყვის დაგვაზლიდნენ. ერთ-ერთი მცველი მართლაც გვესროდა ხოლმე, მაგრამ საბედნიეროდ, სიკვდილს შემოხვევი არ ყოფილა.

მაისის დამდეგს გვიბრძანეს, მოემზადეთ, კუნძულიდან პუნტა-არენასში უნდა გადაგიყვანოთო. პატიმრების გადარეკვა მხედრიონის სადიზმის კიდევ ერთი გამოვლინება იყო. ფეხშიშველნი, ტანსაცმელშემოძარცვულნი მივდიოდით კუნძულზე, გაჭირვებით გადავგადიოდით ნაკადულებსა და მდინარეებზე. ჟურნალისტი ადოლფო სილვა ამბობდა ხელით მაჰყავდათ, რადგან მას სერიოზულად ჰქონდა დაზიანებული ხერხემალი. შემდეგ გემში ჩაგვყარეს და პუნტა-არენასის სამხედრო-საპატიო ბაზაში მიგვიყვანეს.

„მერე ბორკილები დაგვადეს და ჩაგვსხეს თვითმფრინავში. ასე დამთავრდა ტუსაღთა ერთი ნაწილისთვის დოსონის „კუნძულს ჯოჯოხეთი", — დასძინა ლ. კორვალანმა.

როგორც სანტიაგოდან იუწყებიან, ამჟამად ლუის კორვალანი დამწყვდეული ჰყავთ სამხედროსაპატიო ძალების ერთ-ერთ ბაზაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე.

ეს საინტერესოა

ადმოაჩინეს უძველესი სამარხი

კაირო, 12 აგვისტო. (საკდესის კორ.). ელფაიუმის მახლობლად ლაბ მაუვარეთ ელ-მაკათაში, სადაც შუა სამეფოს პერიოდში მდებარეობდა ძველი ეგვიპტის დედაქალაქი, წარმოებს ფარაონ ამენემჰატის სამარხის მუშაობები.

დღეისათვის, როგორც ეგვიპტის არამთა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს არქეოლოგიის დეპარტამენტის მთავარმა ინსპექტორმა მუტავი ბალბუშმა განაცხადა, აღმოჩენილია შვიდი სამარხი, რომელებიც დიდად საინტერესოა შუა სამეფოს (21-18-ე საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვით) ისტორიის, კულტურის, ყოფისა და სოციალური ურთიერთობის შესწავლისათვის.

ამ სამარხთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელი სამარხი, რომელიც ეკუთვნის უფლისწულს, რომელსაც „ფარაონის შინაკაცს" ეძახდნენ. ეს სამარხი, რომელიც 10 მეტრ სიღრმეზეა, სიგრძით სამი მეტრია და სიგანით კი ორი მეტრი. იქ არის აგურის ორი ნაგებობა (ქვის სკამები), რომლებზეც იდო რამდენიმე თახის ჭურჭელი მარცვლეულის შესანახად.

მეორე სამარხში აღმოჩენილია ხის სკვონი, რომელიც შიგნიდან და გარედან მთლიანად დაფარულია ოქროს ფირფიტებით. სკვონის შიგნით იყო ოთხი სარიტუალო მარმარილოს ხუფიანი ჭურჭელი, რომლებსაც ადამიანის თავის გამოსახულება აქვთ. გარედან ეს ჭურჭელები დაფარულია იეროგლიფებით.

წინა თვეში არქეოლოგიის დეპარტამენტი იუწყებოდა, რომ აღმოჩენილია მთელი რიგი დიდი სამარხები. მათ შორის ეგვიპტოლოგთა ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ხარმაზ უზერტის — ამენემჰატ მე-8 დინასტიის მე-7 ფარაონის ერთ-ერთი მრჩეველის აკლდამამ. ხაიდუმლოებით მოცულ ვითარებაში გარდაცვლილი ძველეგვიპტელის სამარხში ნაპოვნია დიდძალი ოქრო, სარიტუალო და სხვა ჭურჭელი.

პირველი ცათამგზენი აფრიკაში

ბრაზავილი, 12 აგვისტო. (საკდესი). ტროპიკული აფრიკის პირველი ცათამბჯენი აშენდება ზაირის დედაქალაქ კინშასაში, როგორც ეკონომიკურად ყოველკვირეული „ორიზონტ-80" იტყობინება, შენობას 146 მეტრი სიმაღლე ექნება. ცათამბჯენის 40 სართულზე განლაგდება ზაირის მთავრობის ეკონომიური, საგაჭრო და საფინანსო სამსახურები. კოშკის თავზე აშენდება საცურაო აუზი. „ორიზონტ-80" აღნიშნავს, რომ შენობის მშენებლობა გათვალისწინებულია დამთავრდეს 1978 წელს.

შემოხვევები

უჩვეულო ნადავლი

კოტონუ, 12 აგვისტო. (საკდესი). ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარე დაგომეის პატარა სოფელ ჯეგბაჯის მებადურები შინ არაჩვეულებრივი ნადავლით დაბრუნდნენ. ამჯერად მათ ბადეში მოხვდა ლამანტინი — დიდი ძუძუმწოვარა. ეს ცხოველები ბინადრობენ გვინეის ყურის თბილ სანაპირო წყლებსა და ტროპიკული აფრიკის მდინარეთა დელტებში. ლამანტინი გამოირჩევა დიდი ზომით: მისი სიგრძე ოთხ მეტრს აღწევს, წონა 400 კილოგრამს. დაგომეის მებადურთა დაჭერილი ეგზემპლარი ახი კილოგრამით მეტი გამოდგა.

მებადურთა გაოცება და სახარული ამ ნადავლის გამო ადვილი გასაგებია. ლამანტინები, რომლებიც ოდესღაც აქ, ამ რაიონში ძალიან ბევრი იყო, ახლა ხომ დიდ იშვიათობას წარმოადგენენ.

კატასტროფის მსხვერპლნი

ანკარა, 12 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ღამით ანკარა-სტამბოლის გზაზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ავტობუსი. კატასტროფის შედეგად დაიღუპა 21 და დაშავდა 41 კაცი.

ბანგლადეში



ამაყრინანდელი სამარი კონფლიქტის დროს ბანგლადეშის ახალგაზრდა რესპუბლიკაში დანაღმულ იქნა საზღვაო ნავსადგური ჩიტაგონგი, მისი ფარვატერი გადაიკეტა ჩაძირული გემებით.

ბანგლადეშს დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა. საბჭოთა სპეციალისტები ძნელ კლიმატურ პირობებში მუშაობდნენ. ნავსადგურის წყლები მდერეა. მხედველობა წყლის ქვეშ თითქმის ნოლამდეა დაყვანილი. წყლის ტემპერატურა თითქმის იგივეა, რაც ჰაერისა. მოუხედავად ამისა საბჭოთა მყვინთავებმა უმოკლეს ვადაში ნავსადგური გაწმინდეს ნაღმებისა და ჩაძირული გემებისაგან. ამჟამად რესპუბლიკის ხაზღვაო კარიბჭე კვლავ სტუმართმოყვარულად ეგებება ხომალდებს მრავალი ქვეყნიდან.

სურათზე: ჩიტაგონგის ნავმისადგომებთან.

საკდესის ფოტო.

ჩეხოსლოვაკია

„სოკოლოვოს" გაძარცვა მთავრდება

პრაღა. პრაღის კინოსტუდია „ბარანდოვის" პავილიონებში მთავრდება ახალი ფერადი ფართოეკრანიანი ფილმის „სოკოლოვოს" უკანასკნელი კადრების გადაღება. ამ ფილმს, რომელიც თემატურად განაგრძობს ორსერიიან ისტორიულ ფილმს „ღალატის დღეებს", იღებს რეჟისორი ი. ვავრა მის მიერ მ. ფაბერასთან ერთად დაწერილი სცენარის მიხედვით. ფილმი ასახავს 1942-1943 წლების ამბებს, როცა საბჭოთა კავშირში ყალიბდებოდა პირველი ჩეხოსლოვაკიური ბატალიონი პოლკოვნიკ ლ. სვობოდას სარდლობით.

ტელეტაიპის ლენტიდან

□ საკდესი გვატყობინებს

გაიფიცნენ მსახიობები

□ რომი. 12 აგვისტო. (საკდესი). იტალიის დედაქალაქის ხალხური თეატრის კოლექტივმა დაიწყო სამი კვირის გაფიცვა იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ თეატრი ჭრონიკულ კრიზისულ მდგომარეობაშია, რომ მთავრობა უარს ამბობს განახორციელოს რეფორმები ხანახანობითი ლონისძიებების დარგში, გაფიცვაში მონაწილეობენ გუნდის მსახიობები, მუსიკოსები, სამალეტო დახი, თეატრის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მოითხოვენ თეატრის ფინანსური მდგომარეობის ნორმალიზაციას და დასაქმების გარანტიის უზრუნველყოფას.

გაფიცვას მხარი დაუჭირეს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შედიან იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში. იტალიის მშრომელთა პროფკავშირების კონფედერაციასა და იტალიის შრომის კავშირში.

საბჭოთა დელეგაცია ეგვიპტეში

□ კაირო. 12 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ს. ა. სკაჩკოვის მეთაურობით, რომელიც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში იმყოფება მელუანის მეტალურგიული კომბინატის ფოლადხადნობი კომბლექსის ამუშავების ზეიმთან დაკავშირებით, გუშინ ეწვია ალუმინის დიდი კომპლექსის სამშენებლო მოედანს, რომელიც ნაგ-ჰამადში შენდება საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით. დელეგაცია გაეცნო კომპლექსის ძირითადი ობიექტების შენებლობის მიმდინარეობას.

მიტინგი ფლორენციაში

□ რომი. 12 აგვისტო. (საკდესი). მასობრივი ანტიფაშისტური მიტინგი გაიმართა კვირას ფლორენციაში ნაციზმ იტალიაზე ოკუპაციის ანტიფაშისტურ ძალებს განთავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით. იტალიის პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის, დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების მოწოდებით მიტინგში მონაწილეობა მიიღეს ფლორენციის ათასობით მცხოვრებმა, წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანებმა, ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი დელეგაციებმა. მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ერთგული არიან ანტიფაშისტური ბრძოლის იდეალებისა. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საკადრისი პასუხი გასცენ მემარჯვენე რეაქციული ძალების სრიკვებს.

ინციდენტი სირიის საჰაერო სივრცეში

□ ნიუ-იორკი. 12 აგვისტო. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთიდან მიღებული ცნობებით, სირიის ტერიტორიაზე დაიმსხვრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვითმფრინავი, რომელიც ბეირუთიდან დამასკოში მიფრინავდა. სირიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თვითმფრინავი ჩამოაგდეს სირიის საჰაერო თავდაცვის ძალებმა შეცდომით სწორედ იმ მომენტში, როცა სირიელი მებრძოლები ცეცხლს უშენდნენ ისრაელის გამანადგურებლებს, რომლებიც სირიის საჰაერო სივრცეში შეაჭრნენ.

თვითმფრინავში მყოფი ცხრა-კაცი (ყველა კანადელი) დაიღუპა.

ამერიკის კონგრესში

გაშინგტონი. 12 აგვისტო. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატამ ხმის უმრავლესობით მიიღო კანონპროექტი საარჩევნო კამპანიების დაფინანსების რეფორმის შესახებ.

კანონპროექტი ითვალისწინებს ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათა მიერ საარჩევნო კამპანიაში შენატანების ოდენობის შეზღუდვის შემოღებას, აგრეთვე პრეზიდენტობის კანდიდატების წამოსაყენებლად პარტიული ყრილობების მოწყობისათვის ფედერალური სუფსიდიების გამოყოფას. იგი ზღუდავს კანდიდატების ხარჯებს თავიანთ საარჩევნო კამპანიებში.

ახალი კანონპროექტი გადაეცემა შემათანხმებელ კომისიას, რომელმაც უნდა აღმოფხვრას აზრთა სხვადასხვაობა წარმომადგენელთა პალატისა და კონგრესის მიერ მიღებულ მის ვარიანტებში.

მდგომარეობა ეთიოპიაში

ადის-აბება, 12 აგვისტო. (საკდესი). სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენს ეთიოპიის ხალხგადებრიობა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტისადმი, რომელიც ამჟამად მთავრობისა და შეიარაღებული ძალების საკოორდინაციო კომიტეტის განსახილველადაა წარდგენილი. კონსტიტუციის პროექტი, წერს „ეთიოპიენ ჰერალდი", ეთვალისწინებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს, რომელებიც ასახავენ ეთიოპიის მოსახლეობის ფართო ფენების საერთო დემოკრატიულ მოთხოვნებს.

ქვიპროსის ამბების გამო

- **მაკარიოსის გამოსვლა**
- **თათბირი ათენში**
- **მოლაპარაკება ჟენევაში**

ლონდონი. 12 აგვისტო. (საკდესი). არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა, რომელიც კვირას გამოვიდა ლონდონში მცხოვრები მეწარმენი კვიპროსელების კრებაზე, მოუწოდა კვიპროსის ხალხს „ერთიანობისა და მოქმედების კოორდინაციისათვის".

ჟენევა. 12 აგვისტო. (საკდესი), ინგლისის, საბერძნეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დღეს სხდომა გამართეს, რომელზეც, როგორც იტყობინებიან, განიხილეს კვიპროსში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სამხედრო ასპექტების განხილვა. მინისტრებმა განიხილეს სამხედრო ტუვეების გაცვლის, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის დემარკაციის და სხვა საკითხთა სამუშაო ჯგუფების ექსპერტთა მოხსენებები.

ათენი. 12 აგვისტო. (საკდესი). აქ გაიმართა პრემიერ-მინისტრის კ. კარამანლისის თათბირი საბერძნეთის შეიარაღებული ძალების სარდლობასთან. თათბირზე განიხილეს კვიპროსში შექმნილი ვითარება და საბერძნეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა.

იუწყებიან, რომ განიხილა ტანკებისა და სხვა შეიარაღების გადაგზავნა თურქეთის მოსაზღვრე ჩრდილოეთის რაიონებში.

„სიღატაკის დონეზე" ქვეშ

ნიუ-იორკი. 12 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური სტატისტიკა ამცირებს მონაცემებს სიღატაკეში მცხოვრებ ამერიკელთა რიცხვის შესახებ. ასეთი დასკვნა გამოიტანა ამერიკის შრომის ფედერაციის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პროფკავშირული გაერთიანების კვლევის განყოფილებამ უღარიბეს ოჯახთა მდგომარეობაზე ფასების ინფლაციური ზრდის ზემოქმედების გულდასმით შესწავლის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიურომ ახლახან გამოაქვეყნა მონაცემები იმის შესახებ, რომ 1973 წელს ოფიციალურად დადგენილი „სიღატაკის დონის" ქვემოთ იყო 23 მილიონი ამერიკელის შემოსავალი. ეს მნიშვნელოვან პროგრესად მიიჩნიეს, რადგან 1972 წელს „ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი დაბეჩავებული მოქალაქენი", როგორც ზოგჯერ ლატავებს ეძახიან, იყო 24,5 მილიონი.

სინამდვილეში კი ოპტიმიზმისათვის არავითარი საფუძველი არის. როგორც პროფკავშირულ გამოკვლევაშია აღნიშნული, ფაქტიურად იმითი რიცხვი, ვინ შემოსავალიც სიღატაკის ზღვარს არ სცილდება, იყო 26 მილიონი კაცი. სხვანაირად რომ ვთქვათ, განვლილ წელს შეერთებულ შტატებში ლატაკთა რიცხვი 1,5 მილიონით გაიზარდა.

საგულისხმოა, რომ ოფიციალურად დადგენილი „სიღატაკის დონეზე" უფრო დაბლა არის ამერიკის შეერთებული შტატების თეთრკანიანი მოსახლეობის 8 პროცენტი და ფერადი მოსახლეობის 31 პროცენტი.

მტკიცე პროტესტი

დუბლინი. 12 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ბ. კრეჩნევი იუწყება: ირლანდიის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ირლანდიის თვალსაჩინო საზოგადო, პოლიტიკური და პროფკავშირული მოღვაწეები, ირლანდიის პარლამენტის დეპუტატები და სენატის წევრები, ეკლესიის მსახურნი — სულ 50 კაცი — აწერენ ხელს მიმართვას, რომლითაც მოითხოვენ ბოლო მოეღოს ისეთ სამარცხვინო მოქმედებას, როგორიც არის ინტერნირება გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ჩრდილოეთ ირლანდიაში. მიმართვაში ხაზგასმულია, რომ ამგვარი თვითნებობა ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემის გადაჭრისა და ოლსტერში მშვიდობის დამყარების გზაზე. „ჩვენ მოვითხოვთ, — ნაზგასმულია მიმართვაში, — დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა ინტერნირებული ჩრდილოეთ ირლანდიაში".

ირლანდიის ლიბერალური ჟურნალის „პაიბერნიის" ინიციატივით მთელ ირლანდიაში დაიწყო ამ მიმართულებით ხელმოწერის კამპანია.

ინტერნირება ანუ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად დაპატიმრება, რასაც ინგლისის ხელისუფალნი ეწევიან ჩრდილოეთ ირლანდიაში, უკვე სამი წელია გრძელდება. ახლა ჩრდილოეთ ირლანდიის დელეგაციები ატარებენ 600-ზე მეტი ბავშვი, ქალი და მამაკაცი. „ზოგიერთი მათგანი „ლონგ კეშის" საკონცენტრაციო ბანაკში 1971 წლის აგვისტოში შეყარეს. მათი ერთადერთი „დანაშაული" ის არის, რომ მოითხოვდნენ ოლსტერის მშრომელებისათვის ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებათა მინიჭებას.

ქალის ხვედრი გურჟუაზიულ საზოგადოებაში

როგორები არიან „ჯენტლმენები" შინ

როცა პატრიცია და მისი ქმარი მეგობრებს სტუმრად ეწვევნენ, მასპინძლები დაინტერესდნენ, თუ რატომ ჰქონდა ქალს ხელი შეგვეული.

— კიბეზე დავეცი... — შეეცადა პატრიცია ბუსსნა მიზეზი.

— არ დაუჯეროთ, — გაიწყვეტინა სიტყვა ქმარმა — ეს მე გადმოვაგდე ჩვენი სახლის მეორე სართულიდან...

ეს იყო ნათქვამი სრულიად სერიოზულად და გარკვეული სიამაყითაც კი. პატრიციას მეუღლე სულაც არ ხუმრობდა.

... ამ საღამოს ქმარი შინ სამსახურიდან გაღიზიანებული დაბრუნდა. პატრიცია შეეცადა გაეგო, თუ რაში იყო საქმე. პასუხად ქმარმა სილა გაარწა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეზობლებმა გაიგონეს, თუ როგორ ჩაიმსხვრა ფანჯრის მინა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ქვეშოდან ქალის კვნესა მოესმოდა...

ისე, კაცმა რომ თქვას, პატრიციას ქმარს მეზობელ-ახლობლები არ უყურებდნენ როგორც „მონსტრს"

პირველად შეკერილი კოსტიუმი, ქალთა პერანგი, მოხელის ადგილი და ცოტაოდენი ფული ბანკში — ყველაფერი ეს მას უფლებას აძლევდა თავი ჩაეთვალა „მიდლ კლასის" (საშუალო კლასის) წარმომადგენლად. როგორც ჟურნალი „ტაიმი" წერს, სწორედ ეს „ჯენტლმენები" გამოირჩევიან ინგლისში ცოლის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით. ორცერთ მეზობელს არც კი უფიქრია ჩარეულიყო ჩვეულებრივ ოჯახურ „დრამაში" — სხვისი სახლი ციხე-სიმაგრეა. სულ სხვაა, ქმარს პატრიცია საზოგადოებრივი თავმეყრის ადგილს რომ გაეღახა — ეს უკვე გამომწვევი აქტი იქნებოდა.

ახლა პატრიცია ლონდონის გარეუბანში ცხოვრობს — საერთო საცხოვრებელში, რომელიც სპეციალურად შექმნილია იმ შეძლებული ქალებისათვის, რომლებსაც ქმრები სცემენ. მისი ახალი მეგობრებიც — მარილინ, პეტი, კაროლინა, ირენი და სხვები „მიდლ კლასს" ეკუთვნიან. მათ წარმოდგენაში თანამედროვე ინგლისელი ჯენტლმენი — ეს არის მამაკაცი, რომელიც სამუშაოს დამთავრებისთანავე მიდის სახლში, იხდის შლაპას, ჯოხს კუთხეში მიაყუდებს, მოიცვამს ხალათს და იწყებს ცოლის ცემას. აი რა მოუთხრეს მათ ქურნალ „ტაიმსის" კორესპონდენტს:

მარილინ: „ქმარი მცემდა ყველაფრით, რაც ხელთ მოსვდებოდა. მრცხვენდა დანით, ჩაზგალს ყურში მირჭობდა, მისი დარტყმებისაგან წინა კბილები ჩამომცვივდა. ერთხელ ქმარმა თითები კარებში ისე მომიჭედა, რომ კინაღამ სულ ერთიანად არ დამემტვრა. მეორეჯერ კი იქამდე მირტყამდა, სანამ პირიდან სისხლი არ წამსდა".

პეტი: „როცა ქმარი უგუნებოდ იყო, გრძნობის დაკარგვამდე მცემდა. ამ დროს მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, მცვდარი ვიყავი თუ ცოცხალი".

პარილინა: „ქმარმა ცხვირი გამიტეხა, დანით რამდენიმე ჭრილობა მომაყენა. როცა ამბანაგთან გავიქეცი, მაინც მომაგნო და ცემით სიკვდილის პირამდე მიმიყვანა".

ირენი: „ქმარი ყოველდღის მცემდა. ჩვენში მოქმედი კანონი კი ქმრების სისასტიკის მიმართ უძლურია."

ქალი ბურჟუაზიულ ინგლისში ყველაფრით ქმარზეა დამოკიდებული. აი ზოგიერთი აზრი „სტანდარტული" ქალიშვილისა, რომელიც განსთხოვრად ამზადება: ქალი — ეს არის ნივთი, ძვირფასი სათამაშო. მამაკაცის ხელში, მისი საკუთრებაა. კანონმდებლობაც „ძლიერი სქესის" მხარეზეა. ძნელად თუ მოიძებნება „მიდლ კლასის" ქალიშვილი, ვისაც შეუძლია იფიქროს უმაღლესი განათლების მიღებაზე ან კარგ ხელფასიან სამუშაოზე. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი გათხოვებაა. ქმარი კი ყველაფერია — ოჯახის თავკაცი, მარჩენალი, ავტორიტეტი. „განკიცხულთა თავშესაფრის" ბინადარნი ლონდონის გარეუბანში მუდამ იყვნენ ყველაფერი ავტანით, მაგრამ ოჯახი დატოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვების სიცოცხლეს გაუფრთხილდნენ.

ინგლისი ერთადერთი ქვეყანა როდია დასავლეთში, სადაც „მამაკაცური სადიზმი" ჩვეულებრივი მოვლენაა. ლონდონის მსგავსი თავშესაფრები შექმნილია საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, პოლანდიის მსხვილ ქალაქებში. ობიექტთა „ძლიერი სქესი" თავისი სისასტიკით აბეგიერებს „მამაკაცურ ავტორიტეტს".

ახალი ამბების სააგენტოს მასალებიდან.

ჩარგალში ვაჭაობაგე

დილიდანვე უწყვეტ ნაკადად მიეშართებოდნენ ავტომანქანები არაგვის ფეალწარმტაც ხეობაში. საზეიმო განწყობილება იგრძნობოდა მთელ გზაზე ქინვალიდან ჩარგლამდე.

დღის ორი საათი. ხალხმრავალი მიტინგი გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ი. ნონეშვილმა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ ილაპარაკა პოეტმა ა. გომიაშვილმა.

პროფესორმა ლ. სანეკიძემ და მწერალმა ხ. ქეთელაურმა ილაპარაკეს ვაჟას გენიის, მისი შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობაზე.

ლექსები წაიკითხეს ი. ნონეშვილმა, ლ. სულაბერიძემ, ვ. დოლბაიამ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჯაფარიძემ, მახვაილელებელმა ვ. კასრაძემ, ი. ქართველიშვილმა, გ. მარცვალაშვილმა, ტ. არაბულმა, სახალხო მოქმედებმა — ახმეტელმა ნ. გორელაშვილმა, მაღაროსკარელმა ნ. ბულალაურმა. მამისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ვ. რაზიკაშვილმა.

ზ. სიანაიძე,
გაზეთ „კომუნისტის გზის“ თანამშრომელი.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების კომიტეტი აცხადებს, რომ კანდიდატურებისა და მასალების წარდგენა (საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის, მუსიკალური ნაწარმოებების, მუსიკის თეორიისა და ისტორიის შრომების შექმნის დარგში) **იწარმოებს 1974 წლის 1 ნოემბრამდე.**

კომიტეტი განიხილავს **1973-1974 წლებში შექმნილ ფართოდ აღიარებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, მუსიკის თეორიისა და ისტორიის დარგის გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, საკონცერტო-საშემსრულებლო პროგრამებს.**

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი საკონკურსო მასალები უნდა გაიგზავნოს მისამართით: **ქალაქი თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 19, საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმს.** (საქინფორმი).

ტრადიციის დაბადება

ასე დაიწყო „გაგრის ზაფხული“

Yველაზერი დაიწყო უჩვეულოდ. 8 აგვისტოს გაგრის ლაკვარდოვანი ცა ერთბაშად მოფარფატე ფურცლებმა ააფრიალა. პლაჟებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს თუ პარკებს ამ ფურცლებს თავზე აყრიდა ჩრდილო-დასავლეთიდან ნელინელ მომავალი ვერტმფრენი.

მოხაზვეები ბარათები ციდან!

დიახ, ასე მიიღო გაგრის და ბიჭვინთის ათეულ ათასობით დამსვენებელმა მოსაწვევი ბარათი ახალი ჟანრის სანახაობაზე, რომელსაც სახელად „გაგრის ზაფხული“ შერქვეს.

ბარათში აღნიშნული იყო „გაგრის ზაფხულის“ პროგრამა: 10 აგვისტოს, 17 საათზე — შეჯიბრება ცურვასა და ნიჩბოსნობაში; 20 საათზე — „ნეპტუნი“ და მისი ამალა სტუმრად გაგრაში; 21 საათსა და 30 წუთზე — „პირატებისა“ და „ადგილობრივ მკვიდრთა“ შეტაკება ნეპტუნის მონაწილეობით; ცეკვა, თამაში, სიმღერები, შეხვედრები ჭადრაკში, ჩობგურთში, ფრენბურთში; კონკურსები კოლონადის, საზღვაო ვაგზლისა და ეოკეკვარის მოედნებთან: ყველა მოედანზე იმუშავებს „აღმოსავლეთის ბაზარი“...

ასეთი ღონისძიება არ შეძლება რომელიმე ჟანრს მიაკუთვნო, თუნდაც ამიტომ, რომ მონაწილეთა რიცხვი აღწევდა ოთხი ათასს, ხოლო მაყურებელთა რიცხვი — სამოცდაათასს. გარდა ჩვენი სამშობლოს თითქმის ყოველი ერის წარმომადგენლისა, აქ შეხვდებოდით გერმანელებსა, თუ ფრანგებს, პოლონელებსა თუ ჩეხებს...

საზეიმოდ გამოიყურება გაგრის განთქმული ტყე-პარკი. ფერადი ნათურების „კრიალსნებით“ არის დახუნძლული ასწლოვანი ხეები. რა არ ახსოვთ ამ ხეებს! აქ, ჩეროში, დასეირნობდა ჩეხოვი, პაბლო ნერუდა თუ ალენ მარშალი... ამ ხეებნის, მწვანე მთებისა და მონანავე ტალღების ჯაგარი გადაკრავს ბალაკტიონის ლექსების ციკლს „ზღვა ამბაურდა“, „გამამარჯობა, აფხაზეთო, შენ!“... ტყე-პარკის თვალია ცისფერი აუზი.

შადრევნის წინა მოედანი გადაქცეულია „გაგრის ზაფხულის“ ცენტრალურ პოლიგონად. ზედ ზღვის პირას დგას „ანტიური ხომალდი“. ხომალდზე ფრიალებს თეთრი ალამი, რომელზეც მოღიმარი „სამხრეთული ეზო“ თავისსავე ატალღებულ სხივებში ნანაობს. კიჩოზე აელვარებული ცისარტყელას ფერები და ხომალდის „ცხვირად“ ქცეული დრაკონის თავი თითქოს ერთმანეთს ექიშპებიან როგორც მოგონილი რისხვისა და გართობა-მხიარულების ორი სიმბოლო. ხომალდის გვერდზე აღბეჭდილი ვეება, განცვიფრებული თვალიდან თითქოს შორეული წარსული უმზერს ღელვანდელობას. **სწორედ ამ ხომალდზე** უნდა ამოიჭრას მრისხანე „ნეპტუნი“ თავისი ამალით. იგი 8 საათზე ჩამოვა ბიჭვინთიდან, ნამდვილი ხომალდით. საზღვაო ბრძოლის გადხდის შემდეგ, რომლის დასაწყისსაც გვაუწყებენ ცაში აფეთქებული შუშხუნები, „ნეპტუნი“ შეტევაზე გადავა ხის ტოტებსა და ბუჩქებში მიმალულ „ადგილობრივ მკვიდრებთან“ — თბილისელ და ქუთაისელ სტუდენტებთან...

მთელი პანორამაა შექმნილი მოედანზე. ორი ახალგაზრდის — მსატვარ ლადო გუჯაბიძისა და არქიტექტორ ზაურ მამალაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ პანორამაში გამოიჩნდა მონდომებაც და ფანტაზიის ნამდვილი გაქანებაც.

პირველად სტარტი მცურავებმა, ნიჩბოსნებმა, მოჭადრაკეებმა, ჩოგბურთელებმა და ფრენბურთელებმა აიღეს. ზღვაზე თუ მოედნებზე ადგილს იკავებენ მეტოქეები — დამსვენებელთა ნაკრები და ადგილობრივი ნაკრები გუნდები. გამონაკლისია მხოლოდ ჭადრაკი, სადაც გუნდის მაგიერ გაგრის ღირსებას იცავდა ოსტატობის კანდიდატი, გაგრელი ინჟინერი ბორის შჩიპანსკი. იგი ერთდროულად ეთამაშებოდა თითმეტი კაცისაგან შემდგარ გუნდს, — დამსვენებელთა ნაკრებს.

ტყე-პარკს მოეფინა დიქტორის სიტყვები: „ყურადღება! რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს ყურეს ზღვიდან მოადგება პირატთა ხომალდი, რომელიც შეეცდება ბრძოლით დაიპყროს კუნძული. კუნძულს იცავენ რაზმელები, შენიღბულად განლაგებულნი ხეებზე და ბუჩქებში. შეტაკება მოხდება მოედანზე. მაყურებლებს ვთხოვთ გადაინაცვლონ მოედნის შუაგულიდან, მათთვის განკუთვნილი ადგილისაკენ...“

ცაში აჭრილმა შუშხუნებმა გვაცნო „ნეპტუნის“ შემოტევის წუთები და პარკის გზებსა და ბილიკებზე დაიძრა ადამიანთა ლაშქარი. „ნეპტუნს“ და მის ამალას, მიუხედავად სიძნელეებისა, კვალდაკვალ მიჰყვება „გამარჯვება“... ამ სანახაობის აღმოაჩნდა განსაკუთრებული „მიზიდულობის ძალა“, მაგრამ არც კოლონადასთან არის ტკივა, სადაც სახელდახელოდ გამართულ ესტრადაზე კონცერტია გაჩაღებული.

ახლა დარბაზში შევიხედოთ, საზაფხულო თეატრში ჩატარებული კონცერტი „მოგზაურობა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში“ გამოირჩეოდა იდეური ჩანაფიქრითა და შესრულების ოსტატობით.

„მოგზაურობა“ დაიწყო მოსკოვიდან: რამდენიმე სტროფ ლექსს, რომელიც ჩვენი სამშობლოს სახელოვანი დედაქალაქისადმი იყო მიძღვნილი და გამოსტაკავდა ყოველი საბჭოთა ადამიანის გულისთქმას, მოჰყვა სიმღერები დედაქალაქზე.

იწყება „მოგზაურობა“ კიევში, რასაც უძღვის კიევისადმი მიძღვნილი ლექსი და აბოლოებს ტემპერამენტიანი უკრაინული სიმღერები და ცეკვები... მინსკი... ალმა-ატა... ტაშკენტი... სცენა ეთმობა უზბეკურ ეროვნულ თამაშს „ხაფან-ყოლის“ და მაყურებელი თითქოს იმყოფება უზბეკეთში... თბილისი, ძველი და მარადიული თბილისი... ქართულმა ცეკვებმა სიხარული დააყენა ცერეტელი და დარბაზი ერთიან ოვაციად აქცია... ბაქო... ერევანი... აშხაბადი...

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, მადლობა ეკუთვნის ამ სცენარის ავტორს, სანატორიუმ „საქართველოს“ კულტორგანიზატორს ვ. ზვენიაცკოვსკიის, რომელიც ამავე დროს ხელმძღვანელობდა კონცერტს.

გაგრის კოლონადასთან ახალდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მომღერლები და დეკლამატორები. ესტრადიდან დასმული „მსიარულ შეკითხვებს, რომელსაც მოხდენილად იძლეოდა ა. სვეშნიკოვი, ერთბაშად უპასუხებდა ასეულობით ახალგაზრდა.

სიტყვა მივეცეთ სტუმრებს.

აი რა განაცხადა ჩვენთან საუბარში ჩეხოსლოვაკიის კულტურის მინისტრმა მილან ძლუსაკმა: მომეწონა „გაგრის ზაფხული“, მომავალშიაც გავხდები გაგრის სტუმარი და ძალიან კმაყოფილი დავრჩები, თუ ჩემს დასვენებას დავმთხვა მორიგი, ასეთივე წარმატება ხვიმი.

სახელოვანი ჩეხი მწერალი ივან სპალა ამბობს: გაგრის ქებაში შემიძლია ყველას გავჯიბრო, ხოლოს ზეიმი, რაც გაგრელებმა მოგვიმზადეს, ყოველთვის დამრჩება ტკბილ მოსაგონრად.

— ვისვენებ სანატორიუმ „ოლხიდაში“, — ამბობს პოლონელი პოლკოვნიკი ჩესლავ ჟურტისკი. — მომსახურება მართლაც რომ ისეთივე უნადო, როგორც თვით გაგრის ბუნება. ქალაქის აქტივის მიერ მომზადებული „გაგრის ზაფხული“ კარგი საჩუქარი იყო ყოველი დამსვენებლისათვის.

იმავე სანატორიუმის დამსვენებელი, პოლკოვნიკი ბოგდან კარლიცკი ამბობს: გაგრამ მომხიბლა. სიამოვნება მომანიჭა „გაგრის ზაფხულმა“, ამასთანავე გამამდიდრა მეგობრებით.

სოციალისტურმა შრომის გმირმა ივანე რასპაზოვმა მაღალი შეფასება მისცა „გაგრის ზაფხულს“ და მის ორგანიზატორებს.

დიახ, მადლობის ღირსნი არიან გაგრელები — პარტიის საქალაქო კომიტეტი და მისი აქტივი.

„გაგრის ზაფხული“ იყო ერთიანი სიხარული, რომელიც ათასებმა გაინაწილეს, და, როგორც ელადელებს უთქვამთ, სიხარული მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტი ადამიანი გაინაწილებს მას.

„გაგრის ზაფხული“ ათარიღებს ტრადიციის დაბადებას და თანაც ალტრუიზმისა ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთ ფერადოვან ფერად ნაკადად ინიშნებოდ ... ...